საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/57

02 ოქტომბერი, 2012 წ. **ქ. ბათუმი**

,,2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ" რსუ–ს რექტორის 2012 წლის 7 სექტემბრის №01/–8/47 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის" შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ" რსუ–ს რექტორის 2012 წლის 7 სექტემბრის №01/–8/47 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და დამატება. კერძოდ კი:

ა) №01/–8/47 ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს ,,დ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) **დოქტორანტურის** საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის - სემესტრული სწავლის საფასურის ნახევარი **2012 წლის 6 ნოემბრამდე, ხოლო მეორე ნახევარი 2012 წლის 28 დეკემბრამდე.**

ბ) ბრძანების მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის 2.2. პუნქტი:

,,2.2. 2012 წლის 5 ოქტომბერს გამოიცეს ბრძანება **მაგისტრატურის** საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტთა მიმართ რსუ–ს სტუდენტის სტატუსის შესაჩერებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, რომელთაც დადგენილ ვადაში არ გაიარეს ადმინისტრაციული რეგისტრაცია, ხოლო **სტატუსის შეჩერების აქტი გამოიცეს 2012 წლის 12 ოქტომბერს.**

გ) ბრძანების მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის 2.3. პუნქტი:

,,2.3. რსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანება **პროფესიული და ბაკალავრიატის** საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტთა მიმართ, რომლებიც დადგენილ ვადაში არ გაივლიან ადმინისტრაციულ რეგისტრაციას გამოიცეს **2012 წლის 12 ოქტომბერს.**

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე **ირაკლი ბარამიძე**